ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

(იდეები აქტივობებისათვის)

მოამზადა მაია ინასარიძემ

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი 2024 წლის 12 ივნისს დამტკიცდა. ეს დოკუმენტი აღწერს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასურველ შედეგს და საფუძველია ეროვნული სასწავლო გეგმისა. სწორედ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით იქმნება ყველა ის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ამოცანების გადაწყვეტას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი მოიცავს ათ მიზანს. ამ მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს 12-წლიანი სასწავლო ციკლი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ შემოგთავაზებთ იდეებს იმ სასწავლო აქტივობებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული მიზნის მიღწევას ქართულ ენასა და ლიტერატურის სწავლების პროცესში. შეიძლება ბევრი ამ აქტივობებიდან მასწავლებლებისათვის ცნობილია და უკვე განხორციელებულიც. მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავიაზროთ, საითკენ მივმართოთ ჩვენი ფოკუსი ამგვარი სასწავლო საქმიანობების დროს, რა არის ჩვენი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზანი.

ამ ჩამონათვალს სარეკომენდაციო დანიშნულება აქვს, ეს ერთგვარი “მენიუა”, რომლიდანაც მასწავლებელს შეუძლია აარჩიოს თავისი სკოლისა და კლასისათვის მნიშვნელოვანი აქტივობა / აქტივობები, მოდიფიცირება გაუკეთოს; შეიძლება აქ მოცემულმა ჩამონათვალმა სრულიად საინტერესო აქტივობის იდეაც გაუჩინოს.

ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მცოდნე მოქალაქის აღზრდა.

აქტივობები:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სადისკუსიო თემების შემოტანა. მაგალითად:
   - ✓ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ სწავლებისას დისკუსია თემაზე - „არა არს რწმენა თვინიერ საქმისა“ (არსენ კათალიკოსისა და თორნიკე ერისთავის დიალოგის მიხედვით);
   - ✓ ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ სწავლებისას დისკუსია თემაზე - „რა დააშავა პეტრემ (თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების პასუხისმგებლობა)?
   - ✓ ვაჟას პოემების სწავლებისას დისკუსია თემაზე - „რა განსხვავებაა ინდივიდსა და პიროვნებას შორის და როდის იბადება ინდივიდში პიროვნება?“
   - ✓ დისკუსია თემაზე - „როდის და როგორ იქცევა ადამიანი ბრბოს ნაწილად? (გიორგი ლეონიძის „მარიტასა“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვის“ მიხედვით).
   - ✓ დისკუსია თემაზე: “როდის გადაიქცევა დაუმორჩილებლობა მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობად?” (მაგალითად, ვაჟას პოემების, ჯემალ ქარჩხაძის “იგის”, კონსტანტინე გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენის” და სხვა ლიტერატურული ტექსტების შესწავლისას)

2. VaKE–ის (Values and Knowledge Education - ,,ცოდნა და ღირებულებითი განათლება“) მეთოდით შესასწავლი ნაწარმოებებიდან დილემური სიტუაციების ანალიზი (მაგალითად, ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში“).
3. პროექტები:
   - ✓ პროექტი „ვკითხულობთ უფროსებთან ერთად“ (მშობლების, ბებია-ბაბუების, უფროსი და-ძმების ჩართვა ერთობლივად შერჩეული წიგნის კითხვასა და განხილვაში).
   - ✓ პროექტი „ამეტყველებული საოჯახო ალბომები და ოჯახური რელიკვიები“ (მოსწავლეები აიღებენ ინტერვიუებს ოჯახის წევრებთან მათი გამოცდილების, ოჯახური ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ, მოიძიებენ ინფორმაციას ოჯახური რელიკვიების შესახებ, გააცოცხლებენ ძველ ფოტოებზე ასახულ რეალობას).

ბ) სახელმწიფო ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა.

აქტივობები:

1. ინტეგრირებული გაკვეთილები:

✓ ინტეგრირებული გაკვეთილი (ისტორია, ქართული) თემაზე: „საქართველო არჩევანის წინაშე - მშვიდობა თუ თავისუფლება? (ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მიხედვით). გაკვეთილი როლური თამაშის ელემენტებით. შეიქმნება სამი ჯგუფი - სოფიოსა და სოლომონის პოზიციის მომხრეები, ერეკლეს მომხრეები, ისტორიკოსები).

✓ ინტეგრირებული გაკვეთილი (ხელოვნება, ისტორია, ქართული): აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“, ამავე ნაწარმოების ეკრანიზაციისა და ისტორიული წყაროების შედარება (მეთოდით „ვმუშაობთ წყაროებზე“).

✓ ინტეგრირებული გაკვეთილი-დებატი (ქართული, ისტორია, სამოქალაქო განათლება) თემაზე: „სიკვდილით დასჯა - მძიმე დანაშაულებათა პრევენცია, თუ ღვთისა და ადამიანის წინაშე ჩადენილი დანაშაული?“

2. პროექტები:

✓ პროექტი: ანიმაციით / ნახატებით შექმნილი ფრაზეოლოგიზმები (მოსწავლეები შექმნიან სახალისო ანიმაციებს / ნახატებს, რომლებიც ასახავს ქართული ფრაზეოლოგიზმების პირდაპირ შინაარსს და მიუწერენ განმარტებას, წარმომავლობას);

✓ პროექტი: ბარბარიზმები და ჟარგონი ჩვენ ირგვლივ (მოსწავლეები შეაგროვებენ პრესაში, სოციალურ ქსელებსა და ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებულ ბარბარიზმებისა და ჟარგონის ნიმუშებს. შექმნიან ლექსიკონს).

✓ პროექტი: ციფრული არქივის შექმნა (მოსწავლეები შეაგროვებენ და გადაიყვანენ ციფრულ ფორმატში ადგილობრივი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ამსახველ მასალებს).

3. ლიტერატურული დებატი:

✓ საკამათო თეზისები: 1. „პიროვნული თავისუფლება სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დგას.“ 2. „მწერალი ვალდებულია, ემსახუროს სახელმწიფოს.“ (მოსწავლეები დაასაბუთებენ პოზიციას შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით).

4. სასკოლო ღონისძიებები:

✓ ეროვნული დღესასწაულების ორგანიზება სკოლაში;

✓ ტრადიციული კერძების მომზადების მასტერკლასები (მშობლების ჩართულობით);

- ✓ ხალხური რეწვის გაკვეთილები (მშობლების, ბებია-ბაბუების, ხელსაქმით გატაცებული მეზობლების/ახლობლების ჩართულობით).

გ) ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, უნივერსალური ეთიკური პრინციპების მქონე და დამცველი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდა.

აქტივობები:

1. გაკვეთილებზე ქართველი მწერლების შემოქმედებას განვიხილავთ მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კონტექსტში. მაგალითად:
   - ✓ ქართული რომანტიზმის წარმოშობის წანამძღვრები და მისი კავშირი მსოფლიო რომანტიზმთან (ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ქმნილებების ანალიზის დროს პარალელები ბაირონის, შელის, ლამარტინის, ჯაკომო ლეოპარდის, ედგარ ალან პოს, ადამ მიცკევიჩისა და შანდორ პეტეფის ნაწარმოებებთან).
   - ✓ ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული, ხელოვნება) თემაზე: რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში, მსოფლიო მუსიკასა და მხატვრობაში.
   - ✓ ქართული და მსოფლიო მოდერნიზმი (ქართველი „ცისფერყანწელების“ ლექსების შესწავლისას პარალელებად არტურ რემბოს, მალარმეს, ბოდლერის, ვერლენისა და სხვათა ნაწარმოებების მოხმობა).
   - ✓ ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული, ხელოვნება) თემაზე: ნიკო ლორთქიფანიძე და იმპრესიონიზმი.
2. პროექტები
   - ✓ სასწავლო პროექტი თემაზე: „ლიტერატურა, როგორც უნივერსალური ღირებულებების სარკე” - ერთი თემა სხვადასხვა კულტურაში (მოსწავლეები ირჩევენ უნივერსალურ თემას, მაგალითად, სიყვარულს, თავისუფლებას, სიკვდილს, ღირსებას და ადარებენ ქართულ ნაწარმოებს სხვადასხვა კულტურის უცხოურ ნაწარმოებს, ანალოგიურ თემაზე შექმნილს).
   - ✓ სასწავლო პროექტი თემაზე: “რას გვეუბნებიან ანდაზები და/ან ფრაზეოლოგიზმები კონკრეტული ერის კულტურაზე?” (მოსწავლეები გამოიკვლევენ ანდაზების და/ან ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის წყაროებს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაში და იმსჯელებენ მსგავსებებსა და განსხვავებებზე, ეროვნული ხასიათის ნიშნებზე, რომლებიც ირეკლება ანდაზებსა და/ან ფრაზეოლოგიზმებში).

3. ვირტუალური მოგზაურობა მსოფლიო მუზეუმებში
   - ✓ (ონლაინრესურსები გამოყენებული იქნება მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დასათვალიერებლად, შესაძლებელია მოსწავლეებს დავავალოთ პრეზენტაციების / გიდის ტექსტის მომზადება ნანახ ექსპონატებზე.
4. არაფორმალური განათლებისათვის:
   - ✓ სკოლაში „მსოფლიო ლიტერატურის კლუბის“ შექმნა, სადაც მოსწავლეები წაიკითხავენ და იმსჯელებენ მსოფლიო ლიტერატურის (სხვადასხვა კულტურის) შედევრებზე, მოეწყობა ცნობილი ნაწარმოებების ეკრანიზაციების ჩვენება და მათი შედარება წაკითხულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან.

დ) მშვიდობიანი, ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის ხელშემწყობი მოქალაქის აღზრდა.

აქტივობები:

- ✓ გაკვეთილებზე განვიხილავთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ურთიერთობები, სოციალური უთანასწორობა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ წაკითხვამდე შესაძლებელია დისკუსიის გამართვა თემაზე - შეუძლია თუ არა მეგობრობას სოციალური ზღვარის წაშლა? ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ იმაზე, თუ რა მიზეზებმა განაპირობა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელ ორ მეგობარს შორის კონფლიქტი.
- ✓ ესე თემაზე: შეუძლია თუ არა სიყვარულს ორ სოციალურ ფენას შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება („ოთარაანთ ქვრივზე“ დაყრდნობით)?
- ✓ შემოქმედებითი წერის კონკურსი მშვიდობისა და ჰარმონიული ცხოვრების შესახებ (მოსწავლეები შემქნიან მათთვის სასურველი ჟანრის ნაწარმოებებს, მოეწყობა საჯარო კითხვა და საუკეთესო ნაწერები განთავსდება ელექრონულ შემოქმედებით ჟურნალში).
- ✓ ლიტერატურული პერსონაჟების „სასამართლო პროცესი" (იმიტირებული სასამართლო), სადაც განიხილავენ პერსონაჟების ქმედებებს.
- ✓ მოსწავლეები ირჩევენ პერსონაჟს, რომელიც განსხვავებულია (ეთნიკურად, სოციალური სტატუსით, ღირებულებებით). წერენ მონოლოგს მისი ხედვის

კუთხიდან: რას განიცდის? რისი ეშინია? რატომ იქცევა ასე? რას ელოდება საზოგადოებისგან?..

- ✓ კითხვის კლუბში მოსწავლეები წაიკითხავენ ნაწარმოებებს, რომლებიც ეხება კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას (მაგალითად, ბერტოლდ ბრეჰტის „ბილიარდი 10-ის ნახევარზე“, „ანა ფრანკის დღიური“, ჰალიდ ჰუსეინის „ფრანით მორბენალნი“), განიხილავენ მშვიდობის მიღწევის გზებთან დაკავშირებით ავტორების ხედვებს.

ე) დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მცოდნე და დამცველი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს პატრიოტიზმთან, სახელმწიფოებრიობასა და საკაცობრიო იდეალებთან.

აქტივობები:

- ✓ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილის - „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ - მიხედვით დებატების მოწყობა კლასში თემაზე: „არის თუ არა პატრიოტიზმი ხელისშემშლელი ფაქტორი გლობალიზაციის პროცესისათვის?“
- ✓ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავისა“ და ბაში-აჩუკის“ შესწავლის შემდეგ დისკუსიის გამართვა იმაზე, თუ როგორ უკავშირდება პატრიოტიზმი საკაცობრიო იდეალებს.
- ✓ ლიტერატურული პერსონაჟების „სამოქალაქო პორტრეტები“ - მოსწავლეები შეაფასებენ პერსონაჟების ქმედებებს სამოქალაქო ღირებულებების კუთხით. იმსჯელებენ, როგორ შეიძლება ამ პერსონაჟების ქცევის გადმოტანა თანამედროვე რეალურ ცხოვრებაში.
- ✓ „ლიტერატურული გმირების" გალერეა: მოსწავლეები შექმნიან ვირტუალურ გალერეას ლიტერატურული გმირებისთვის, რომლებიც წარმოაჩენენ სამოქალაქო ღირებულებებს. მოამზადებენ პრეზენტაციებს თითოეული გმირის შესახებ.
- ✓ პროექტი „ტოლერანტობის ლიტერატურული რუკა“. მოსწავლეები გამოიკვლევენ, როგორ არის ასახული ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვა კულტურის, რელიგიის, ეთნოსის ადამიანების ცხოვრება და ქმნიან ვიზუალურ/ციფრულ რუკას.
- ✓ პროექტი “სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი”, რომლის ფარგლებში მოსწავლეები შეარჩევენ მათთვის საინტერესო საზოგადოებრივ თემას (მაგალითად, სამართლიანობა, გარემო, თანასწორობა და სხვა), შექმნიან ამ თემაზე პუბლიცისტურ წერილებს, ბლოგებს, პოდკასტებს.

3) ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არა მხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ინტელექტუალურ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ;

აქტივობები:

- ✓ გაკვეთილებზე დროის გამოყოფა „მწერლის სახელოსნოსთვის“, სადაც მოეწყობა შემოქმედებითი წერის სესიები. მოსწავლეები მოსინჯავენ საკუთარ თავს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების შექმნაში.
- ✓ ლიტერატურული ნაწარმოებების თანამედროვე ინტერპრეტაციები: მოსწავლეები შექმნიან კლასიკური ნაწარმოებების გათანამედროვებულ ვერსიებს და განიხილავენ, რას და როგორ ცვლის ეპოქის კონტექსტი ნაწარმოებში (მაგალითად, თანამედროვე „მგზავრის წერილები“, თანამედროვე „ქართლის ჭირი“).
- ✓ სასწავლო პროექტი „ფაქტი, ინტერპრეტაცია თუ მანიპულაცია?“ - მოსწავლეები ირჩევენ სხვადასხვა ტექსტს (ლიტერატურულს, პუბლიცისტურს, მედიატექსტს) და არჩევენ რა არის ფაქტი**,** რა — ავტორის ინტერპრეტაცია**,** სად იწყება გავლენა მკითხველზე და რა გზებით, რა ხერხებით.
- ✓ გაკვეთილებზე დავალების სახით კლასიკური ტექსტის ტრანსფორმაცია: დღიურის ფორმით, ალტერნატიული ფინალით, სხვა პერსონაჟის თვალით, მონოლოგით და სხვ.
- ✓ სასწავლო პროექტი - “მწერლის ინტელექტუალური პორტრეტი”, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები იკვლევენ მწერლის ეპოქის მთავარ იდეებსა და ღირებულებებს, ფილოსოფიურ/ესთეტიკურ გავლენებს, იმ სიახლეს, რომელიც ავტორმა შემოიტანა ლიტერატურაში, ეპოქალურ იდეებსა და ღირებულებებში (მაგალითად, ნოვაციის თვალსაზრისით შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის შემოქმედების ანალიზი).
- ✓ სასკოლო ღონისძიება - „წავიკითხოთ წიგნები, უკეთესნი ვიქნებით“, სადაც მოსწავლეები შექმნიან ინოვაციურ ციფრულ პროდუქტებს, პოსტერებს, ბუკლეტებს, გამოიყენებენ რეკლამირების სხვადასხვა საშუალებას წიგნების პოპულარიზაციისთვის.

ზ) დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, გაცნობიერებული პერსონალური გადაწყვეტილებების მიმღები, მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტად განმავითარებელი, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, შრომისმოყვარე მოქალაქის აღზრდა.

აქტივობები:

- ✓ ლიტერატურული კვლევითი პროექტების განხორციელება (მაგალითად, გალაკტიონის ლექსების ტექსტოლოგიური ანალიზი. რა ცვლილებები განიცადა მისმა ლექსებმა და რით შეიძლება აიხსნას ეს ცვლილებები. გამოყენებული იქნება ონლაინ პლატფორმა „Galaktioni.ge", სადაც განთავსებულია გალაკტიონის ხელნაწერები).
- ✓ მეთოდებით - „ოთხსტრიქონიანი მიძღვნითი ხასიათის ლექსი" და „ვქმნით მეტაფორას" - მოსწავლეები შექმნიან ლექსებს წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით.
- ✓ გაკვეთილებზე როლური თამაშებისა და დრამატიზაციის გამოყენება. მოსწავლეები შექმნიან სცენარებს, გაითამაშებენ და შემდეგ გააანალიზებენ.
- ✓ გაკვეთილებზე გაცნობიერებული არჩევანისა და პასუხისმგებლობის გააზრებისათვის შემოვიტანთ რუბრიკას "გადაწყვეტილების ლაბოლატორია". ამ რუბრიკის ქვეშ მოსწავლეები ირჩევენ ლიტარატურული გმირს ან მწერალს, განსაზღვრავენ მისი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტს, იმსჯელებენ მისი ქცევის მოტივებსა და მართებულობაზე, იმაზე, თუ რა ალტერნატივა / ალტერნატივები ჰქონდა.
- ✓ პროექტი - "ტექსტი, როგორც მრჩეველი ცხოვრებაში". მოსწავლეები ირჩევენ ტექსტს (ლიტერატურულს ან პუბლიცისტურს), რომელიც ეხება შრომას, დროის ფასს, ჯანმრთელობას, არჩევანს და სხვა აქტუალურ თემას და ამ ტექსტის მიხედვით ქმნიან „რეკომენდაციებს ცხოვრებისათვის".
- ✓ სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის იმიტაცია, სადაც მოსწავლეებს მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დილემურ სიტუაციებს. სასურველია გამოვიყენოთ „VaKE-მეთოდი (Values and Knowledge Education, ღირებულებებისა და ცოდნის განათლება).
- ✓ სასკოლო ღონისძიებები, სადაც მოწვეულნი იქნებიან საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები (მწერლები, პოეტები, ხელოვანები). მოსწავლეები მოამზადებენ მათთან ინტერვიუებისათვის შეკითხვებს.

თ) ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით კომუნიკაციის მაღალი კულტურის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.

აქტივობები:

- ✓ გაკვეთილებზე წარმოსახვითი და რეალური ინტერვიუების მომზადება (მოსწავლეები მოამზადებენ შეკითხვებსა და სავარაუდო პასუხებს სხვადასხვა მწერალთან ან პერსონაჟთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის. ასევე შესაძლებელია ცნობადი სახის მოწვევა და მისი ინტერვიუირება).
- ✓ ზეპირი გამოსვლის მომზადება (მოსწავლეები გაეცნობიან საინტერესო გამოსვლების ამსახველ ვიდეომასალას. იმსჯელებენ, როგორ იყენებს რიტორიკული სამკუთხედის ელემენტებს გამომსვლელი. შემდეგ კონკრეტულ თემაზე ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად განსაზღვრავენ მიზანს, აუდიტორიას და მიზნისა და აუდიტორიის შესაბამის კონტექსტს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის სიტყვის „წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის გახსნაზე“ შესწავლის შემდეგ შექმნიან გამოსვლის ტექსტს საკუთარი სკოლის აუდიტორიისათვის წარდგენის მიზნით).
- ✓ პერსონაჟის მონოლოგი. კონკრეტული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ მოსწავლეები პერსონაჟის ფიქრებზე, მის ღირებულებებსა და ქცევის მოტივებზე დაყრდნობით შექმნიან მონოლოგის ტექსტს, რომელსაც წარუდგენენ თანაკლასელებს (მაგალითად, საფარ-ბეგის მონოლოგი აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით).
- ✓ საგაკვეთილო აქტივობა „სიტყვის ეთიკა“, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ჩვენს ყოველდღიურ ფრაზებს, რომლებსაც დაუფიქრებლად, მექანიკურად ვამბობთ, მაგალითად: „რა სისულელეა“, „აზრზე არ ხარ“, „შენ მაინც ვერ გაიგებ“ და სხვა. მოსწავლეებმა უნდა შექმნან მათი ეთიკური ალტერნატივები.
- ✓ საგაკვეთილო აქტივობა „ერთი აზრი - სამი სტილი“. მოსწავლეებმა ერთი და იგივე თემა უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა სტილით: ოფიციალურ-საქმიანი, მეგობრული (არაფორმალური) საუბრით, პოეტური (მხატვრული) ფორმით. შემდეგ იმსჯელონ, რომელი სტილი უფრო შეესაბამებოდა თემას, რომელ შემთხვევაში იყო სიტყვა უფრო დამაჯერებელი.
- ✓ პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხზე და თანაკლასელების წინაშე წარდგენა.

ი) თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება.

აქტივობები:

- ✓ პროექტი „ციფრული არქივის შექმნა” (მოსწავლეები შეაგროვებენ და გადაიყვანენ ციფრულ ფორმატში ადგილობრივი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ამსახველ მასალებს).
- ✓ პროექტი „გაცოცხლებული პერსონაჟები“ (მოსწავლეები https://www.youtube.com/watch?v=s7vAXwwdmJ0 - ის გაცნობის შემდეგ ჩაწერენ პერსონაჟის აღწერას, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილ ნახატს მოუფქრებენ ტექსტს და გაახმოვანებენ (https://www.youtube.com/watch?v=DKRslT-5YN0).
- ✓ პროექტი „შემოქმედებითი ჟურნალის გაციფრულება“ (მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე მათ მიერ შექმნილ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს განათავსებენ სკოლის ვებგვერდზე ატვირთულ ელექტრონულ შემოქმედებით ჟურნალში, რომლის დიზაინს თავად მოიფიქრებენ).
- ✓ პროექტი „ლიტერატურული გმირი სოციალურ ქსელში”. მოსწავლეები ირჩევენ ლიტერატურულ პერსონაჟს და ქმნიან მის “ციფრულ პროფილს”, ანუ მოიფიქრებენ, რა პოსტებს დაწერდა ის, რა კომენტარებს, როგორი რეაქცია ექნებოდა კრიტიკაზე და შემდეგ მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი “ციფრული მოქალაქე” იქნებოდა ის.
- ✓ პროექტი „ციფრული მანიფესტი“. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოიძიონ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ინტელექტუალური საკუთრების დარღვევების ფაქტები ან თავად მოიფიქრონ მსგავსი ისტუაციები, როგორებიცაა: კოპირება წყაროს მითითების გარეშე, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტის პირდაპირ გამოქვეყნება და ა.შ. ამ სიტუაციებისა და მაგალითების ანალიზის საფუძველზე ისინი ქმნიან „ციფრული მოქალაქის მანიფესტს“, აყალიბებენ 5-7 პრონციპს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ონლაინ სივრცეში.

კ) გარემოსდაცვითი ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებზე სათანადო რეაგირება და მოქმედება დაუკავშიროს პიროვნული, ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების მიზნებს.

აქტივობები:

- ✓ ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისა და ლექსის - „ღამე მთაში“ - შესწავლის შემდეგ პრეზენტაციის მომზადება თემაზე: „ბუნება მბრძანებელია“ (მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას გარემოზე ადამიანის გავლენის შესახებ, იმსჯელებენ საფრთხეებზე, წარმოადგენენ საკუთარ დამოკიდებულებას ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის მიმართ და იფიქრებენ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე).
- ✓ პროექტი „ბუნება ტექსტში, ადამიანი ბუნებაში“. მოსწავლეები შეარჩევენ ტექსტებს, რომლებშიც ბუნება ან ბუნების ქმნილება (მაგალითად რომელიმე ცხოველი ან ფრინველი) მოქმედი სუბიექტია. ისინი აანალიზებენ იმას, თუ როგორია ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ სხვადასხვა ეპოქაში და წერენ შემაჯამებელ ესეს: „რომელ ეკოლოგიურ პრობლემას გააპროტესტებდა ამ ტექსტის ავტორი დღეს?“
- ✓ პროექტი „ჩემი სოფლის/ქალაქის ეკოლოგიური პრობლემა“. მოსწავლეები იკვლევენ ადგილობრივ ეკოლოგიურ გამოწვევას (წყლის რესურსი, ტყე, ნარჩენები). აკავშირებენ მას ეროვნულ და გლობალურ კლიმატურ მიზნებთან (მაგ., მდგრადი განვითარების მიზნები). წარმოადგენენ ნაშრომს ზეპირი გამოსვლის ფორმით.
- ✓ ინტეგრირებული პროექტი (მოიცავს ყველას საგანს) „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“, რომლის ფარგლებშიც მომზადდება რეპორტაჟი ლოკალურ გარემოში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ (პროექტის დეტალური აღწერა განთავსებულია პორტალზე educationhouse.ge).